

საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №13(20), 1999 წელი, მუხ.52) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. აღსრულების ქვემდებარე აქტები

ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, **რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის გადაწყვეტილება**, სანოტარო აქტი, გირავნობის მოწმობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ და შემდეგი სასამართლო აქტები (შემდგომში – გადაწყვეტილება):

ა) კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება;

ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;

გ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის ან/და ქონების ჩამორთმევის დაკისრების შესახებ;

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;

ე) გადახდის ბრძანება და ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;

ვ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება;

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება;

თ) იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით;

ი) სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;

კ) ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად სავალდებულოა საქართველოსათვის;

ლ) სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ;

მ) სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალის (გადასახადის გადამხდელის) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული და დაყადაღებული ქონების რეალიზაციის შესახებ;

ნ) საქართველოს საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმებისა და დაპატიმრების შესახებ.“.

2. კანონის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. აღსრულების ეროვნულ ბიუროს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საბანკო ანგარიში. საბანკო ანგარიშზე პროცენტის სახით დარიცხული თანხები ეკუთვნის აღსრულების ეროვნულ ბიუროს და გამოიყენება მისი მიზნებისა და ამოცანებისათვის.“.

3. კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სააღსრულებო ბიუროს აქვს სადეპოზიტო ანგარიში. სააღსრულებო ბიუროს ამოღებული თანხების დეპონირებისათვის შესაძლებელია ჰქონდეს ორი ან ორზე მეტი სადეპოზიტო ანგარიში აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ნებართვით. სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე (ანგარიშებზე) პროცენტის სახით დარიცხული თანხები ეკუთვნის აღსრულების ეროვნულ ბიუროს და გამოიყენება მისი მიზნებისა და ამოცანებისათვის.“.

4. კანონის 14⁶ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კერძო აღმასრულებელს სავალდებულოა ჰქონდეს სამუშაო ადგილი (ოფისი, ბიურო) და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში. მას უფლება აქვს სამუშაოზე აიყვანოს და სამუშაოდან გაათავისუფლოს მუშაკი საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს სააღსრულებო საქმიანობისათვის მიღებული საზღაური.“.

5. კანონის 14⁹ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაუუქმა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია, გარდა ამავე კანონის 14¹⁴ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“.

6. კანონის 14¹⁰ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამუშაო ადგილის მისამართი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ უძრავი ქონების საკუთრების თაობაზე, სადაც უნდა განთავსდეს კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილი, ან ამ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებაზე.“.

7. კანონის 14¹¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14¹¹. კერძო აღმასრულებლის რეგისტრაცია კერძო აღმასრულებელთა რეესტრში და მის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყება

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კერძო აღმასრულებელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარუდგენს:

ა) სამსახურებრივ ბეჭედს (რომელზედაც სავალდებულო წესით აღინიშნება კერძო აღმასრულებლის სახელი და გვარი, სამუშაო ადგილის მისამართი, კერძო

აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის ნომერი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ ხელმოწერის ნიმუშს;

ბ) ბანკში გახსნილი საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის დამადასტურებელ დოკუმენტს და ანგარიშის ნომერს;

გ) სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის, რომლის ოდენობასა და პირობებს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, დამადასტურებელ დოკუმენტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ახორციელებს კერძო აღმასრულებლის რეგისტრაციას კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რის შემდეგაც კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს სააღსრულებო საქმიანობა. კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.“.

8. კანონის 14¹² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14¹² სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა

კერძო აღმასრულებელი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის ბოლო კვარტლის პირველ კვირას, მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაცია თავის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების შესახებ.“.

9. 14¹⁷ მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კრედიტორის მიერ გადახდილი ან გადასახდელი საზღაურის გადახდა ეკისრება მოვალეს და იგი ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს საზღაურის გადახდა ამ კანონის 38-ე მუხლით დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით.“.

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. სააღსრულებო ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის სააუქციონო მომსახურების გაწევის შედეგად ამოღებული თანხებიდან:

ა) კრედიტორის მიერ გადახდილი საზღაური, ამ კანონის 38-ე მუხლით აღსრულების საფასურის ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ამოღებულ მოთხოვნის პროპორციულობით გადაერიცხება კრედიტორს. კრედიტორს ასევე გადაერიცხება ამოღებული მოთხოვნა.

ბ) კრედიტორის მიერ გადასახდელი საზღაური კი, იმავე ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ამოღებული მოთხოვნის პროპორციულობით გადაერიცხება კერძო აღმასრულებელს.“.

10. კანონის მე-17 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. აღმასრულებელს უფლება აქვს სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს ნებისმიერ დროს მათ შორის – არასამუშაო დროსა და დასვენების დღეებში, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული სააღსრულებო წარმოების ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე.“.

11. კანონის 17¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად მისი ქონების, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონებისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე და 88-ე მუხლებითა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 211-ე მუხლით გათვალისწინებული ამოღება და რეალიზაცია ხორციელდება ამავე მუხლების შესაბამისად დადგენილი წესით.“.

12. კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში, მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად, უგზავნის იმ სასამართლოს (ხოლო თუ აღსრულება ერთდროულად მიმდინარეობს ერთზე მეტი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე – ერთ-ერთ სასამართლოს), რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს აღსრულება.“.

13. კანონის 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. სააღსრულებო მოქმედების დაწყება

აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან და უცხოელთა საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით – საქართველოს იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტის, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258¹ მუხლით განსაზღვრული გირავნობის მოწმობის აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმეებზე – იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის განცხადებისა და გირავნობის მოწმობის საფუძველზე.“.

14. კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კრედიტორის მოთხოვნით, ერთჯერადად, არა უმეტეს სამი თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს, თუ იგი არ მოითხოვს აღსრულების გაგრძელებას;“.

15. კანონის 38-ე მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თანხის გადახდევინებისას საფასურის ოდენობა შეადგენს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს (არანაკლებ 50 ლარისა, თუ აღსასრულებელი მოთხოვნა აღემატება 50 ლარს). კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში შეტანისას იხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს (არანაკლებ 50 ლარს თუ აღსასრულებელი მოთხოვნა მეტია 50 ლარზე და ფიზიკური პირი, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, – არა უმეტეს 5 ათას ლარს), რომელიც უბრუნდება მას ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შესაბამის სააღსრულებო ბიუროს, რაც იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია.“.

ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი, გარდა ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შემთვევებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესებით დაკისრებული ჯარიმების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების, მათ შორის ბაჟის აღსრულებისათვის საფასური წინასწარ არ გადაიხდევინება. ამ გადაწყვეტილებების აღსრულების საფასურია აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 7%, რომელიც აღსრულების დაწყებისთანავე, ეკისრება მოვალეს.“.

გ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-14 და მე-15 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„14. ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული კრედიტორების ფულადი მოთხოვნების მოვალეებს, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის ამ კანონით დადგენილ ვადებში მოთხოვნის სრულად შესრულებისას, აღსრულების საფასურის სახით, ეკისრებათ აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 2%“.

15. აღსრულების საფასური არ გადაიხდებინება იმ სააღსრულებო მოქმედებებისათვის, რომლებიც უკავშირდება სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე აღსრულების დაწყებამდე შეტანილ თანხებს, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 680-ე მუხლის 22-ე ნაწილის შესაბამისად შეტანილ თანხებს.“.

16. კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესებით დაკისრებული ჯარიმების, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების, მათ შორის ბაჟის, ამ კანონის 90¹ მუხლით გათვალისწინებული აქტებისა და ამ კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.“.

17. კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აღმასრულებელს დაყადაღებული ფული დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო დაყადაღებულ ფასიან ქაღალდებს და ძვირფასეულობას იღებს და ინახავს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სათავსოში. ეს ეხება სხვა დაყადაღებულ ნივთებსაც, თუ არსებობს დაყადაღებული ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ დაყადაღებული მოძრავი ნივთები რჩება მოვალესთან ან შესანახად ბარდება სხვა პირს, მაშინ დაყადაღება ხდება დალუქვით. დაყადაღებული ქონების მოვალის ან მინდობილი პირის – შემნახველის მიერ ყოველგვარი განკარგვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.“.

18. კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნას.

19. კანონის 72-ე მუხლის 1¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) აუქციონის შესახებ აცნობებს გარდამავალი უფლებებისა და აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნების მფლობელ პირებს, ხოლო ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულებისას - ასევე შესაბამის საგადასახადო ორგანოს.“.

20. კანონის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლებამოსილ პირს გადაეცემა აღმასრულებლის შესაბამისი განკარგულება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შეძენილი ქონება, აუქციონზე ქონების შეძენი, შემოთავაზებული ფასი და

აუქციონის პირობები. ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულებისას განკარგულების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგადასახადო ორგანოს.“.

21. კანონის 77-ე მუხლის 3¹ პუნქტი ამოღებულ იქნას.

22. კანონის 77¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აღმასრულებელი კრედიტორის განცხადების საფუძველზე, კრედიტორის მიერ ამ მუხლით დადგენილი შესაბამისი პირობის შესრულების შემდეგ გასცემს განკარგულებას ნივთის ნატურით გადაცემის შესახებ. ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულებისას განკარგულების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგადასახადო ორგანოს.“.

23. კანონის 113-ე მუხლს დაემატოს მე-20 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„20. იმ საქმეებზე, რომლებზეც ამ კანონის 2009 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით ჩატარდა პირველი და განმეორებითი უშედეგო აუქციონი და არ მომხდარა კრედიტორისთვის ქონების ნატურით გადაცემა, შესაძლებელია კრედიტორის განცხადების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით, ჩატარდეს აუქციონი (პირველი და განმეორებითი), ხოლო თუ ამ აუქციონზე არ მოხდება ნივთის რეალიზაცია, განხორციელდეს კრედიტორისთვის ნივთის ნატურით გადაცემა.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით წარმოდგენილი კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-19, მე-20 და 22-ე პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით წარმოდგენილი კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი და მე-19, მე-20 და 22-ე პუნქტები ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი